ბრძანება:**ბ124. 1242615621**

თარიღი:**05/06/2026**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“, „ე.ე“ ქვეპუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზირების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, 2015 წლის 27 მარტის N120 დადგენილების - „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის საფასურის განსაზღვრის, აგრეთვე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის, სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების ტიპური ფორმების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ'' თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 მაისის N15 „მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე), 2026 წლის 29 მაისის N16 „მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) განკარგულებისა და 2026 წლის 3 ივნისის „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის“ N5 სხდომის ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გატანილ იქნეს ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება 30%-ით

შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასურით:

- საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება: ავტომობილი „TOYOTA CAMRY“, ს/ნ HH 841 JJ, ტიპი სედანი, მოდელი CAMRY, ფერი-რუხი, გამოშვების წელი - 2008, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი 4T1BE46K29U289328. საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 7000 (შვიდი ათასი) ლარი. პრივატიზების ფორმა - ელექტრონული აუქციონი. აუქციონის შემდგომ ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე. აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის ოდენობა - 2000 (ორი ათასი) ლარი. ბიჯი - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

- საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება: ავტომობილი „SSANG YONG TIVOLI“, ს/ნ WW 480 IW, (ტიპი - ჰეტჩბეკი, მოდელი - TIVOLI, ფერი-რუხი, გამოშვების წელი 2019, საიდენტიფიკაციო VIN კოდი KPT20A1VSKP288603). საწყისი საპრივატიზაციო საფასური - 11550 (თერთმეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი. პრივატიზების ფორმა - ელექტრონული აუქციონი. აუქციონის შემდგომ ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე. აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხის ოდენობა - 3300 (სამი ათას სამასი) ლარი. ბიჯი -100 (ასი) ლარი.

2.აუქციონის ფორმა: ელექტრონული აუქციონი. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე გამყიდველთან 15 დღის ვადაში გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს საფასურის სრული ღირებულების გადახდა. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა ოქმსა და ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე (სახ/კოდ: 300083332) უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/და საგარანტიო თანხას, ბეს და სრული ღირებულების ოდენობის შორის სხვაობას.

3.დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სააუქციონო კომისიას უზრუნველყოს აღნიშნული აუქციონის გამოცხადება 2026 წლის 8 ივნისიდან 2026 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

4. ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge.

5.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მიხეილ აფციაური

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი